SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

თავისუფალი
უნივერსიტეტი

სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

სოციალური მეცნიერებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების მაგისტრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

125 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი და სტრუქტურა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტებს მისცეს: ა) პრობლემაზე ორიენტირებული, ბ) ინტერდისციპლინური გ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების წარმოების შესაძლებლობა. პროგრამის შინაარსიც და სტრუქტურაც სწორედ ამ მიზნით არის განსაზღვრული და დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტის მიერ, მისი ინტერესებიდან გამომდინარე შერჩეული კვლევითი პრობლემატიკის თანმიმდევრულ შესწავლას ტუტორებისა და ხელმძღვანელების აქტიური დახმარებით. კერძოდ, ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება ის, რომ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაგისტრანტისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, რაც გულისხმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრის შესაძლებლობასა და ტუტორებსა და

ხელმძღვანელებთან ინტენსიურ ინდივიდუალურ მუშაობას. ამ მიმართულებით პროგრამა გულისხმობს ერთი მხრივ, მოდულის ფარგლებში არჩევითი კურსების მრავალფეროვნებას, მეორე მხრივ კი ტუტორებისა და არჩეული ხელმძღვანელების ინტენსიურ ჩართულობას, მაგისტრანტის სასწავლო გეგმის შედგენასა და კვლევითი პროექტის დაგეგმვაში.

პროგრამის ინტერდისციპლინური ორიენტაცია, გულისხმობს საერთაშორისო სამეცნიერო სამყაროში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, ისეთი კვლევების ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც ხდება რამდენიმე მომიჯნავე დისციპლინიდან კვლევითი ტექნიკების, ინსტრუმენტების, თეორიული აპარატების, კონცეპტუალური ჩარჩოებისა და მეთოდოლოგიური აპარატების სინთეზი.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა შექმნილია თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით არსებული და აკადემიურ სივრცეში კარგად დამკვიდრებული პროგრამების ბაზაზე და სწორედ ამ მიმართულებებში არსებული ძლიერი ინტელექტუალური რესურსის საფუძველზე აღწევს დასახული მიზნების განხორციელებას.

ამასთან პროგრამის კურიკულუმის ფართო დისციპლინური მიდგომისა და თემატიკის მრავალფეროვნების პარალელურად, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია გარკვეული ფართო თემატური ორიენტირები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ეძლევათ ფოკუსირებული კვლევითი პროექტების დაგეგმვის შესაძლებლობა ვიწრო თემატური სპეციალიზაციით.

ეს თემატური ორიენტირები მოიცავს რეგიონალური და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების ანალიზს, ასევე მათ განხილვას რეგიონული კულტურის კვლევების ისეთი კონცეპტების ჭრილში როგორიცაა, ნაციონალიზმი, იდენტობა, მეხსიერების პოლიტიკა, რელიგია და პოლიტიკა, ეთნიკური კონფლიქტები, სოციალური კონფლიქტები, სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია და სხვა.

პროგრამის მიზანია ამ ტიპის კვლევების ხელშეწყობა სინთეზური ინტერდისციპლინური კვლევითი მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენებით სოციოლოგიის,

ანთროპოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერებების ეპისტემოლოგიური ტრადიციების საფუძველზე.

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის მიზნები თანხვედრაშია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიასთან და წარმოადგენს ამ მისიის პრაქტიკაში განხორციელების ერთ-ერთ აკადემიურ მექანიზმს - შექმნას სწავლის, სწავლების და კვლევისთვის ხელმისაწვდომი გარემო, რომელიც სტუდენტებს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს განუვითარებს, რაც კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს იყვნენ მოქნილი და წარმატებული მუდმივად ცვალებად საქმიან გარემოში.

შესაბამისად, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

- მაგისტრანტებისთვის სოციალურ მეცნიერებებში (ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით) აქტუალური მეთოდოლოგიურ და თეორიული მიდგომებზე სისტემური ცოდნის მიცემა (სტუდენტის მიერ შერჩეული დისციპლინის სეგმენტის ფარგლებში და/ან კვლევითი პრობლემატიკიდან გამომდინარე);
- მაგისტრანტებისთვის სამეცნიერო ტექსტის და მონაცემების კრიტიკულად აღქმის, ანალიზისა და უახლესი კონცეპტუალური მიდგომებით საკვლევი საკითხის დასმის უნარების გამომუშავება;
- სოციალურ მეცნიერებებში, სამაგისტრო დონეზე, ხარისხიანი კვლევების ინიცირება, უფრო მაღალ დონეზე ან ფართო მასშტაბით გავრცობის პოტენციალით;
- მაგისტრანტების მომზადება ანალიტიკური, საკონსულტაციო და სამოხელეო პრაქტიკული საქმიანობისათვის;
- სოციალურ მეცნიერებებში მაღალი დონის მაგისტრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წამყვან სადოქტორო პროგრამებზე კვლევის გაგრძელებას და/ან სამუშაო ბაზარზე წარმატებულად დასაქმებას.

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა სწავლებასა და კვლევაზე ორიენტირებული პროგრამაა, რაც ეხმიანება ევროპა 2020 სტრატეგიას უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის კუთხით. პროგრამის კურიკულუმი ინტერდისციპლინური და ინდივიდუალისტური ბუნებისაა და ისეთნაირად არის შედგენილი, რომ მაგისტრანტისთვის მაქსიმალურად შესაძლებელი იყოს საკუთარი ინტერესების მიხედვით წარმართოს სასწავლო პროცესი. პროგრამის კურიკულუმის ყველა კომპონენტი სწორედ ამ კონცეფციას ეხმიანება.

1. საერთო სავალდებულო კომპონენტი. ეს კომპონენტი უზრუნველყოფს მაგისტრანტს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სათანადო მეთოდოლოგიური მომზადებითა და დარგობრივი ინსტრუმენტებით. ამავდროულად, ეს კომპონენტი ორიენტირებულია იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ სამეცნიერო მუშაობის დოქტორანტურაში გაგრძელებისთვის და მეორე მხრივ, თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერისათვის. საერთო სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსების მეშვეობით მაგისტრანტი შეისწავლის აკადემიური/სამეცნიერო წერის ხელოვნებას, მიიღებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის განხორციელებისთვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას, შეძლებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფუნდამენტურ და უახლესი კონცეპტუალური მიდგომების ჭრილში საკვლევი საკითხის დასმას და შეისწავლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მეთოდოლოგიას.

2. სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი. ეს კომპონენტი მოიცავს სამ სავალდებულო მოდულს. მოდული გულისხმობს მრავალკომპონენტიან, კომპლექსურ სამუშაოს და შედგება ორი აუცილებელი ნაწილისგან:

ა) ტუტორიალებისგან, რომელიც მოდულის მთავარი და პრინციპული კომპონენტია.
მოდულის ტუტორიალის ფარგლებში მაგისტრანტი გადის ჯგუფურ და ინდივიდუალურ მეცადინეობებს მოდულის ხელმძღვანელთან (ტუტორთან). ტუტორიალების ფარგლებში მაგისტრანტი ესწრება, როგორც სემინარის ტიპის ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატის შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება მაგისტრანტის კვლევითი ინტერესები, სასწავლო და კვლევითი გეგმა. ტუტორიალები თემატურია და თითოეული შეხვედრა ეთმობა კონკრეტული საკითხების დამუშავებას, ლიტერატურის ანალიზს და ახალი მასალის მიმოხილვას. ინდივიდუალური კონსულტაციებისას, კი ტუტორი დეტალურად განიხილავს მაგისტრანტის მიერ შესრულებულ და შესასრულებელ სამუშაოს;

ბ) არჩევით საგნისგან, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს სამივე ეტაპზე, ტუტორის და/ან ხელმძღვანელის ინსტრუქციით, მისთვის საინტერესო და მისი საკვლევი საკითხისთვის რელევანტური ცოდნა მიიღოს. არჩევითი საგნის არჩევისას სტუდენტი კონცენტრაციის მიხედვით არ არის შეზღუდული და შესაბამის ტუტორთან შეთანხმებით შეუძლია გაიაროს ნებისმიერი კურსი შეთავაზებული არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან, რაც კურიკულუმის ინტერდისციპლინარულ ბუნებას ეხმიანება და საშუალებას აძლევს მაგისტრანტს, იკვლიოს ინტერდისციპლინარული თემები სხვადასხვა დარგის მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება აირჩიოს კონცენტრაცია.

3. კვლევითი კომპონენტი. ვინაიდან პროგრამის ერთ-ერთი მიზანი ინდივიდუალური კვლევების ხელშეწყობაა, კურიკულუმის დიდი ნაწილი ეთმობა ინდივიდუალურ მუშაობას, რომელსაც სტუდენტი აწარმოებს სამეცნიერო ხელმძღვანელის ინსტრუქტაჟით და პროგრამაში ჩართული სხვა აკადემიური პერსონალის დახმარებით. კვლევის კომპონენტის ორივე საგანი, სამაგისტრო სემინარი და სამაგისტრო კვლევის მომზადება, ხორციელდება ხელმძღვანელის ზედამხედველობით და გულისხმობს მაგისტრანტის მიერ საკვლევ თეზისზე დამოუკიდებელ მუშაობას. კვლევის მოდული მიზნად ისახავს მაგისტრანტს გამოუმუშაოს ისეთი უნარები, როგორიც არის დასამუშავებელი ლიტერატურის ან კვლევითი სტატიების ღრმა ანალიზი, პრობლემური საკითხების მეცნიერული ფორმულირება და მის გარშემო შესაძლო ჰიპოთეზების გასაგებად და ცხადად ჩამოყალიბება. მოდულის გავლის შემდგომ მაგისტრანტს შეეძლება:

- კონკრეტული კვლევის გარშემო ლიტერატურის შერჩევა;
- სამაგისტრო კვლევასთან დაკავშირებული ლიტერატურის დამუშავება/ანალიზი;
- სამაგისტრო ნაშრომისთვის თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩოს და/ან მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავება არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით და კვლევის მიზნების გათვალისწინებით.

ეს ყოველივე კი ეხმარება მაგისტრანტს შემდგომ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში.

4. სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სამაგისტრო პროგრამის დასკვნით ეტაპზე, რომელშიც მაგისტრანტი ახდენს მიღებული თეორიული ცოდნის, აზროვნების უნარებისა და აკადემიური/საველე კვლევის შედეგების და ტექნიკის სინთეზს და წარმოადგენს მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის შედეგად შესრულებულ აკადემიურ ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და მისი წარმატებით დასრულება, მაგისტრანტს ამზადებს, როგორც კვლევითი სამუშაოს შემდგომი გაგრძელებისთვის, აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურა), ისე პრაქტიკული დანიშნულების მქონე კვლევების შესრულებისთვის.

კვლევითი ინტერესების სრულად რეალიზაციისა და კარიერული წინსვლისათვის, მაგისტრანტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა, სამაგისტრო პროგრამის ძირითადი კურიკულუმის მიღმა მიიღონ ექსტრაკურიკულარული განათლება და შეისწავლონ შემდეგი უცხო ენებიდან ერთ-ერთი:

- არაბული
- სპარსული
- ჩინური
- თურქული
- იაპონური
- გერმანული
- ფრანგული
- ესპანური

კურიკულუმის ფარგლებს გარეთ მაგისტრანტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა. პროგრამის მჭიდრო პარტნიორია მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). ამ თანამშრომლობის საფუძველზე, მაგისტრანტებს შესაძლებლობა ეძლევათ პროგრამაზე სწავლის პარალელურად უშუალოდ იყვნენ ჩართულები GRASS-ის კვლევით პროექტებში და მიიღონ წარმატებული კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით აღსანიშნავია რომ სწავლის პროცესში სტუდენტები მუშაობენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეცნიერებთან, რომელთაც ხანგრძლივი თანამშრომლობა და კავშირები აქვთ ისეთ წამყვან უნივერსიტეტებთან როგორიცაა:

- ოქსფორდის უნივერსიტეტი
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი
- ვაშინგტონის უნივერსიტეტი
- ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი
- მონტანას უნივერსიტეტი
- ფინეთის ჰუმანიტარული და ტექნიკური უნივერსიტეტი
- ალექსანდრიის უნივერსიტეტი
- მალტის უნივერსიტეტი

დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა, ასევე, ხელს უწყობს ჩვენი მაგისტრანტების მიერ წარმოებული კვლევების ინტერნაციონალიზაციის და ამყარებს მათი წარმატებით დასაქმების შანსს. ამ მიმართულებით ჩვენი პარტნიორები არიან:

- საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი
- ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო
- იაპონიის საელჩო
- კატარის სახელმწიფოს საელჩო
- კორეის რესპუბლიკის საელჩო

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულები იქნებიან კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და ექნებათ შესაბამისი აკადემიური საფუძველი გააგრძელონ სწავლა სადოქტორო საფეხურზე საქართველოში ან საზღვარგარეთ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად.

დასაქმების სფეროები

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს აკადემიური მოღვაწეობა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების დოქტორანტურაში ან წარმატებით განაგრძოს საქმიანობა მკვლევრად კერძო და სახელმწიფო პროექტებში; მათ შორის, კონსულტანტად, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ სამსახურებში, ანალიტიკურ სამსახურებში, საჯარო სამსახურებში, მედიაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვლევით ინსტიტუტებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთო სამაგისტრო გამოცდის დებულებისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობები:

- ინგლისური ენის ფლობა მინიმუმ B2 დონეზე
- ზეპირი და წერითი გამოცდა

ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადასტურებლად მაგისტრანტობის მსურველი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში წარადგენს ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. მისი არქონის შემთხვევაში კანდიდატი აბარებს ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელ გამოცდას თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

ზეპირი და წერითი (სამოტივაციო წერილი) გამოცდის ფარგლებში ფასდება მაგისტრანტობის მსურველის ცოდნა, კვლევითი ინტერესები და კრიტიკული აზროვნების უნარი. გასაუბრების კომისიის შემადგენლობაში არიან სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლის დეკანი, სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

სწავლის შედეგები

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

1. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა სოციალურ კვლევასა და მეთოდოლოგიაში.
2. შეუძლია კვლევითი პრობლემისა და ამოცანების განსაზღვრა, შესაბამისი ლიტერატურის მოძიება და დამუშავება.
3. შეუძლია კვლევით პრობლემასთან დაკავშირებული ისტორიული და სოციალურ-კულტურული კონტექსტის კრიტიკული ანალიზი.
4. შეუძლია კვლევისათვის რელევანტური კონცეპტუალური აპარატისა და/ან თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბება.
5. აქვს საერთაშორისო ურთიერთობების, თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური თეორიის ღრმა და სისტემური ცოდნა.
6. შეუძლია კვლევითი ინსტრუმენტების განსაზღვრა, საველე სამუშაოების ჩატარება, საარქივო კვლევა და ემპირიული მასალის დამუშავება.
7. შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.

8. შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
9. შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე და აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენების უნარი.
10. შეუძლია ინფორმაციის მოძიება/დამუშავება/გამოყენება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება.
11. გაცნობიერებული აქვს პროფესიული პასუხისმგებლობის და პროფესიული ეთიკური ქცევის პრინციპები.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდი. სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ძირითადად შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- სწავლების ვერბალური მეთოდი
- ტექსტზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- დისკუსიები/დებატები
- ანალიზის მეთოდი
- დედუქციის მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ახსნა-განმარტების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდი
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- საველე სამუშაო

თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები გაწერილია სილაბუსში.

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება: საშინაო დავალებები, ტესტები, ქვიზები, წერითი გამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, დისკუსია, კვლევის ანგარიში, პროსპექტუსი, სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ლექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროგრამით. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს აღნიშნული სილაბუსში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

- საერთო სავალდებულო კომპონენტი
- სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი
- კვლევითი კომპონენტი
- სამაგისტრო ნაშრომი

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.